# 2020 წელს მიღებული გრანტების შესახებ ინფორმაცია

## საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„საქართველოს ვიცე–პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ 2019 წლის 10 მაისის ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2020 წელს, გრანტის სახით ჩამორიცხულ იქნა - 11 587,00 ევრო (42 154,67 ლარი).

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“-გან 2020 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გრანტის სახით ჩაერიცხა 1 191 297,00 აშშ დოლარი (3 797 854,84 ლარი). აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტის და ოპერირების დაფინანსებისთვის. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა - 3 554 018,09 ლარს.